

## ნაშრომის წარმოდგენა

ავტორმა ნაშრომი უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ვერსიის სახით, მითითებული უნდა იყოს ყველა ავტორის პირადი მონაცემები.

ნაშრომი არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 7 გვერდს. თან უნდა დაერთოს სარეკომენდაციო წერილი ან რეცენზია.

ავტორმა უნდა დაურთოს 100-150-სიტყვიანი რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომლებშიც აღწერილი იქნება სტატიის პრინციპული მიმართულებები და კვლევის საგანი.

ყოველი სიახლე მოცემული უნდა იყოს სტატიის დასაწყისში ანოტაციის სახით.

თუ სტატია მოიცავს მეთოდოლოგიას, იგი განცალკევებულ უნდა იქნას ცალკე ქვესათაურით. სათაურები უნდა იყოს მოკლე, განსაზღვრული და დაუნომრავი. ცხრილები, დიაგრამები – მინიმუმდღე დაყვანილი. ისინი უნდა იყოს შავ-თეთრი, მინიმალური ჩრდილით და არაბული ნომრების გამოყენებით, კონკრეტული დასახელებით, თანამიმდევრობით დანომრილი.

გამოყენებული ლიტერატურა მიეთითება მხოლოდ ნაშრომის ბოლოში დადგენილი წესით გაფორმებული:

*წიგნებისთვის:* გვარი, ინიციალები, წიგნი, გამოცემის ადგილი, გამომცემელი, წელი, გვერდები.

*ჟურნალებისთვის:* გვარი, ინიციალები, დასახელება, ჟურნალი, გამოცემის ადგილი, წელი, ნომერი, გვერდები.

ნაშრომი და რეზიუმე დაიბეჭდება ავტორისეული რედაქციით.

ცალკე უნდა დაერთოს ავტორის პირადი მონაცემები, ელფოსტის და საკონტაქტო რეკვიზიტების მითითებით.

### ნაშრომის და რეზიუმეს გაფორმება:

- ნაშრომი და რეზიუმეები წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით. მინდორი: ზედა – 2,0 სმ, ქვედა – 2,0 სმ, მარცხენა – 3,0 სმ, მარჯვენა – 2,0 სმ;
- შრიფტი AcadNusx ქართული ტექსტისათვის და Times New Roman (Cyr) – ინგლისური და რუსული ტექსტისათვის (სტილი Normal, შრიფტის ზომა – 10);
- სტრიქონთაშორისი ინტერვალი – 1,15;
- ნახატები, გრაფიკები, სქემები და ა. შ. – ფორმატში TIFF 300dpi; 600dpi. ფორმულები აიკრიფოს ფორმულების რედაქტორში Microsoft equation 2.0 (2.1.);
- ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი უნდა დაიბეჭდოს ზედა მარცხენა კუთხეში მთავრული ასოებით ხარისხის, თანამდებობისა და ორგანიზაციის მითითებით;
- 2 ინტერვალის შემდეგ სტრიქონის შუა ნაწილში იბეჭდება ნაშრომის დასახელება მთავრული ასოებით;
- 1,5 ინტერვალის შემდეგ იბეჭდება ნაშრომის ტექსტი, ბოლოში – რეზიუმეები. რეზიუმეებს ინგლისურ და რუსულ ენებზე უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი, თანამდებობა და ორგანიზაცია, ნაშრომის სათაური.

**ავტორის პირადი მონაცემები:**

- გვარი, სახელი, მამის სახელი –
- თანამდებობა –
- ორგანიზაცია –
- საფოსტო ინდექსი და მისამართი –
- ტელეფონი –

**E-mail –**